№ 941 შაბათი, 16 ოქტომბერი 1896—1899 შაბათი, 16 ოქტომბერი № 941

სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურთა ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკუთრებლად მიმართონ რედაქციას დილის 10—8 საათამდე და საღამოს 6—დან „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზია.
ხელ-მოუწერელ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გაზეთი

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე — 5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул.
д. Дворянства.
Телефонъ № 363

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 2 მან.

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" გამგეობა აცხადებს, რომ დაცლილია

## კავკავის

სკოლის მესამე მასწავლებლის ადგილი და მასწავლებლობის მსურველმა თხოვნით უნდა მიმართოს გამგეობას. მასწავლებელს ჯამაგირი ექმნება 480 მანეთი მხოლოდ იმ პირობით, რომ უსათუოდ გალობა იცოდეს და დასის შედგენა შეეძლოს (5 – 1)

## ნემეცების ბაღში

ქართული წარმოდგენა

კვირას, 17 ოქტომბერს,

ქართულ თეატრის აქტიორებისაგან წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა:

I

### მორეცხავ სადილი აქვს

კომედია 1 სურათად.

იარმუკელების ცხოვრებიდან

II

### კაკუა აფრონა

კომედია 2 მოქმედებად.

დასასრულ დივერტისმენტი, ლეკური, ბაღდადური და სხვ.

ადგილების ფასი 30 კ.ვიდრე მანეთ-ნახევრამდის.

დაიწყობა სწორეთ 8 საათზე, გათავდება 11 საათზე. უკანასკნელი კონკა გამოდის მუშტაიდიდან 11 საათზე. თეატრში თბილა.

გამგე შ. საფაროვი.

სამკურნალო და სასარგებლო დასალევი




## ქეფირი და კუმისი




ერთად ერთი ქეფირი, რომელიც არსებობს 1887 წ.

მოწონებული სამკურნალო უწყებისაგან და მენდლით დაჯილდოვებული ორს გამოფენაზე.

იყიდება მხ 3 ლოდ ო. კორონელთან ლორის-მელიქოვის ქუჩაზე ზუბალოვის სახლებში. ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების წევრთათვის და მოწაფეთათვის, ფასი დაკლებულია.

(100—88) ო. კორონა.

## ექიმი

ე. მ. ჩიქოვანი

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.

მიხეილის ქუჩა, № 16

Докторъ К. М. Чиковани

Михайлов., № 16.

„უნივერსალნი მაღაზია"

იხილე განცხადება უკანასკნელ გვერდზე.

ქ. ტფილისში

## ექიმი

ნიკო თომას ძე

## ერისთავი

შინაგანის და ნერვების ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 11—$12_{1/2}$-მდე და საღამოს 7—8 საათზე მიიღებს.

მადერის ქუჩა, მამულოვის სახლი.

(10 – 9)

დაიბეჭდა და გაისყიდება ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების წიგნის-მაღაზიაში.

თხზულებანი

## ა. ს. პუშკინისა

ავტორის პორტრეტით და ბიოგრაფიით

ფასი 50 კაპ.

## ექიმი

## გ. ს. გეხტენფილდი

ახლახან დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან.

არჩენს ავადმყოფებს ვენერიულის (სიფილისი) და საშარდეთა სენისაგან და გარეგანი (კანის) ტკივილებისაგან (ელექტრონით).

ავადმყოფთ ყოველ დღე ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღმოს 6—9 საათამდე.

კუკიაში მადერის ქუჩა № 5.

სამკურნალო და ამბულატორია

## ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანის, ნერვების, საქირურგო, თვალის და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი, არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო თვალებ-ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ქ. გერრატი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი ზ. თ. კოგანი.

ამბულატორიასთან არის კაბინეტი საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის; ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისათვის სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია

Лѣчебница С. В Топурія въ Кутаисѣ

# ახალი ამბავი

*** ახლად დანიშნულებს ზუგდიდის პოლიციის ბოქაულად დანიშნულ იქმნა შტაბს კაპიტანი თ. აბაშიძე; ბორჩალოს მაზრის უფროსის თანაშემწედ დანიშნულ იქმნა შტაბს-როტმისტრი ლევენეცი; 39 დივიზიის უფროსათ გენერალ-მაიორი დუდიცკი ლიშინი; ტფილისის ბეითალად მიღებულ იქმნა მექმერიაშვილი; ტფილისის სასამართლოს მოსამართლის თანაშემწედ დანიშნულ არიან: მესამე განყოფილებისა — კროტოვი, მეოთხისა — ფრენკელი; სურამის სასამართლოს მოსამართლედ დანიშნულ იქმნა ზიათხანოვი.

*** რუსეთიდან იუწყებიან, რომ საზოგადოდ მთელს რუსეთში დიდი ყინვები არის და ბევრი მდინარე გაჰყინა, მეტადრე ვოლგა, რომელზედაც მოძრაობა შესწყდა.

*** თეატრის წარმოდგენები. 14 ამ თვეს ქ-ნ ე. გ. დოგმაროვის მეთაურობით დაიწყო ჩვენს თე-

ატრში ოპერეტების წარმოდგენები. ამ საღამოს დიდძალი ხალხი მოიზიდა და წარმოდგენამაც ხალხი საკმაოდ ასიამოვნა, რადგანაც ტრუპპა შესდგება საუკეთესო არტისტებისაგან. განსაკუთრებით კარგები არიან ქ-ნ ტროცკისა და კომიკები დიმიტრიევი და ჩვენი ცნობილი ბიაზი.

*** **საგანგებო ლექციები.** მკითხველებმა უკვე იციან, რომ შარშან შემოდგომიდან აღდგომამდის ტფილისში მუდამ დღე სხვა და სხვა ენის მასწავლებლები კითხულობდნენ ლექციებს, რომლებზედაც მრავალი ხალხი ესწრობოდა. ამ ლექციებმა მრავალი უსაქმო და საქმის ხალხი მიიზიდა და მართლაც კარგი სარგებლობა მოუტანა; წელსაც ეს ლექციები დაიწყობა 1 ნოემბრიდან 1 ვაჟების გიმნაზიის შენობაში. ეხლა უფრო კარგი ღონისძიებაა მიღებული და საუკეთესო ლექტორებმაიკისრეს ეს ტვირთი და იმედია, მრავალს ხალხს მიიზიდავს.

*** **მევენახეების თხოვნაზედ.** მკითხველებმა უკვე იციან, რომ კახეთის მევენახეებმა მიართვეს სამეურნეო მინისტრს არზა, რომელშიაც თხოულობენ, რომ ს. ველის-ციხეს სასწავლებელთან დაარსებულ იყვეს სამეურნეო სასწავლებლის განყოფილება განსაკუთრებით მევენახეობის შესწავლა და ღვინის დაყენების შესასწავლად. ბ-ნმა მინისტრმა ეს თხოვნა გამოუგზავნა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას გამოსაკვლევად. ამ საზოგადოებამ დანიშნა ამ საგნისათვის გამოსაკვლევი კომისია, რომელიც შესდგება ვ. ნ. გეევსკისაგან, ფ. ა. შიმანოვსკისაგან, თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილისაგან და ს. ნ. ტიმოფეევისაგან.

*** **ჯარის გამოყვანა ტფილისში.** გუშინ 15-ს ოქტომბერს ტფილისის საბჭოს დარბაზში მოიყარეს თავი იმ პირთა, რომლებიც წელს სამხედრო სამსახურში არიან წასასვლელნი. ამისთანა ახალგაზდა შეიყარა 640 კაცი, რომელთა შორის უნდა წაიყვანს 126. კომისიაში არიან თავმჯდომარეთ ქალაქის თავი გ. ვ. ევანგულოვი, წევრებათ: პოდპოლკოვნიკი ა. ს. ელემინი, პოლიციის ბოქაული ნ. ი. გოტჩინი, ქალაქის საბჭოს ხმოსნები ა. ი. ოდნოსუმოვი და ი. ს. ბულდანოვი; ექიმებათ არიან სამხედრო— პროსვირინი და საქალაქო გ. გ. მალარიაშვილი.

*** **ხარჯი ქალაქის სასტუმროებზედ.** წელს სუყველა ტფილისის სასტუმროებს დაედო ქალაქისაგან წლიური ჯარიმა 4,536 მანეთი; საჩაიე ტრახტირებს—720 მანეთი. ეს ხარჯი ასე გაიყოფება: ვისაც მარტო სასტუმრო აქვს უსადილოდ ამისთანა ოთახებს დაედო სულ 1,932 მანეთი; ლუდ ხანებს—480 მანეთი დი ბუფეტებს—2,592 მანეთი.

*** **„შრომის" საზოგადოების** უსტავი გარდაეცა დასამტკიცებლად კავკასიის მთავარ-მმართებელს. გუბერნიის უფროსმა ეს უსტავი უკვე დაამტკიცა.

*** **გაზ. „კასპში"** ვკითხულობთ: „28 ენკენისთვეს საბუნჩაში მეხანიკების უფროსთან ბ. ცატუროვთან მივიდა მისი მუშა ტერ მოსესიანცი, მიართვა მას ანგარიში და სთხოვა რაც სამუშაო ფული ერგებოდა. ეს ქცევა არ მოეწონა ცატუროვს, გამოსტაცა ხელიდგან ეს ანგარიში ნაკუწ-ნაკუწათ აქცია და უთხრა: ფულს აღარ მოგცემ, ეხლა რაღა საბუთი გაქვს ფულის თხოვნისა წადი და მიჩივლე! ცატუროვის ამისთანა ქცევაზე ოქმი დაადგინეს და გარდასცეს გამომძიებელს".

იმედია ამისთანა საქმის მომქმედს ღირსეული სასტიკი სასჯელი მიეცემა.

*** **ქალაქის პოლიციის მოხელე** ჩაჟესკი სასამართლოს პასუხის გებაში მიეცა რამდენიმე დანაშაულებისათვის სამსახურის შესრულების დროს

*** **რუსეთის გაზეთების სიტყვით.** უნდა შემოკლებულ იყვეს ფიზიკის სასწავლებელი წიგნები.

*** **რუსეთის კალენდარზედ.** ბევრმა შეიტანეს წინადადება, რომ იულიანის კალენდარი გადაკეთებულ იყვეს სომხების კალენდარის კვალობაზედ, რისთვისაც ასტრონომიის გამგეობაში მთელი კომისია იყო დანიშნული. ამ კომისიამ ჯერ-ჯერობით ადვილად ვერ სცნო ამის გადაკეთება სიძნელის გამო

*** **ქალაქის ბაღები.** ტფილისის გუბერნატორმა მისწერა ქალაქის გამგეობას, რომ დაბრკოლება არ მოიპოვება იმაზე, რომ ქალაქმა გააკეთოს საქონლის შესანახი ბაღები და თითო სულ პირუტყვზე დღეში გარდასხდეთ 10 კაპეიკი.

*** ახალციხიდან გვწერენ, რომ ხმოსნების დამტკიცება 29 წარსულ ენკენისთვეს ბ-ნმა გუბერნატორმა სულ ჩაშალა და აგრეთვე ქალაქის მოურავი შუამდგომლობს ბ-ნ გუბერნატორთან, რომ საჯარო ფული მალე მიეცეს ქალაქს სამხედრო ხალხის გასასტუმრებლათ (როგორც სახლის ქირა).

*** **სატეხნიკო კურსები.** წელსაც ქალაქის სახელოსნო სასწავლებელთან დაარსდა მუშათათვის სატეხნიკო კურსები, რომლებზედაც შარშან ასწავლიდნენ ხატვა-ხაზვას, გეომეტრიას, ქიმიას, მექანიკას და სხ. ამ ჟამად კი ამ კურსებზე ასწავლიან მხოლოდ ხატვას, რადგან სხვა საგნების მასწავლებლობას აღარავინ კისრულობს.

*** **საკომერციო სასწავლებელი.** ტფილისის საკომერციო სასწავლებლის სამზრუნველო საბჭომ დაიქირავა სასწავლებლისათვის ენფიაჯიანცის სახლი რომელიც 26 ოთახისაგან შესდგება, ნიკოლოოზის და რიყის ქუჩების კუთხეში.

*** **ქალაქის კრებაზე.** უკანასკნელს კრებაზე ქალაქის გამგეობამ განიხილა თხოვნა ჩიჯავაძისა, რომელიც სთხოვდა, რომ ქალაქის საყასბოსთან გამართულ ბაკის გაწმენდა-დასუფთავება მოემანდეთ სამის წლის ვადითა. ქალაქს ამ საქმისათვის წლიურად გადადებული აქვს 1375 მ. ჩიჯავაძე კი 1,000 მ. კისრულობს და ამის გარდა სამის წლის შემდეგ ქალაქს უსასყიდლოდ უთმობს ცხენს, ნაგვის გასაზიდ ეტლს და სხვა იარაღსა. ქალაქის გამგეობამ ჩიჯავაძის თხოვნა არ ვიცით რა მიზეზით არ შეიწყნარა.

*** „ახ. მიმოხილვას" პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ ამ მოკლე ხანში საიმპერატორო სატეხნიკო საზოგადოება განიხილავს ქ. ტფილისის შუამდგომლობას პოლიტეხნიკუმის დაარსების შესახებ.

*** **კახეთი** ძველი და ახალი ამბები. წრევანდელმა გვალვამ ყურძენი ადრე მოაწია და თითქმის მთელს კახეთში სექტემბრის 25-მდე გათავდა რთველები მაშინ, როდესაც ამ თვის გასვლამდე ბევრი ზვარი არ დაკრეფილა წინა წლებში. საზოგადოდ გამოსავალი კარგი ჰქონდა და ღირსებითაც წლევანდელი ღვინოები სჯობიან შარშანდელს. მუშტარიც ჩქარა მიეტანა. ენკენისთვეშივე ს. შილდაში (თელ. მაზრა) გაყიდულა 5000 6000 მანეთის ახალი ღვინო. სიმინდი კი ამა რაღა თქმა უნდა, რომ ნაკლები მოვიდოდა, როგორც გვალვიანს წელს. პურის მოსავალიც ნაკლებად იყო და ვისაც გასასყიდი მოეპოვება კოდს 4—5 მანეთ ნაკლებ არა ჰყიდიან. ენკენისთვეში აქეთ ორი დიდი დღეობა იცის: შუამთობა—8 სექ. და ალავერდობა 14-ს შედარებით წინა წლებთან, პირველს დღეობას ხალხი წელს ნაკლებად დაესწრო, რომლის მიზეზად მხოლოდ ის ჩაითვლება, რომ ამ დროს ყველა რთველს ეშურებოდა, დროით ჩავწუროთ საკმაოდ მომწიფებული ყურძენიო"! საალავერდობოდ კი მეტი წილი ვენახები დაკრეფილი იყო და ამით ხალხს შემწეობა მიეცა ჩვეულებრივ ბლომად დასწრებოდნენ ხსენებულს დღესასწაულს ჯვარის ამაღლებისას.

შუა მთის მონასტერში დღეობას მწირველი ბრძანდებოდა წინამძღვარი ამა მონასტრისა, მისი ყოვლად უსამღვდელოება ალავერდის ეპისკოპოსი კირიონი, თავის კრებულითურთ, აგრეთვე თანამწირველად ჰყავდა მისს მეუფებას თელავის სობოროს წინამძღვარი დეკანოზი მ. მიხ ხელაევი და სხვა სამღვდელოებაც. წირვაზედ გალობდნენ ქართულად სამი კაცი: 1 ხმ. ბ ღნაჟიკაძე, 2 მღვ. მ. იროდ. შავლიევი და მესამე ხმ. მღვ. ვას. მაისურაძე. გალობა მეტად მშვენივრად გამოდიოდა. ამავე საღამოს მწუხრის შემდეგ მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ გადიხადა პანაშიდი ქეთევან დედოფლის საფლავზედ. ჰგალობდნენ ზემოდხსენებულნი მგალობელნი. მისმა მეუფებამ ამ მგალობლებს სთხოვა, ალავერდის დღეობასაც იგალობეთო.

13-ს სექტემბერს 12-ს საათზედ ტფილისიდგან ალავერდში მობრძანდა მისი ყოვლად უსამღვდელოესობა გორის ეპისკოპოსი ლეონიდი, რომელსაც თან ახლდნენ მღვდელნი: მ. თოთიბაძე და ჯიჯავაძე, ხოლო მთავარი მ. ს. ფხალაძე და იპო დიაკონი მ. კასატკინი. მწუხრზედ და ცისკარზე თითქმის მთელი საგალობლები რუსულმა თელავის სასულ. სასწავლებლის ხორომ იგალობა და მეორე დღეს წირვაზედ კი ქართულმა ხორომ—ნახევარი წირვის საგალობლები.

ამ დღეს (14 ს) მწირველები ბრძანდებოდნენ ორნივ ყოვლად სამღვდელონი ლეონიდი და კირიონი მრავალის სამღვდელოების თანამწირველობით. წირვის გათავებისას ამ დღესასწაულის შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა მღ. მ. თოთიბაძემ. წირვას ხალხი ბლომად დაესწრო, ამ დღეს ნასადილევს საღამოს 5 საათზედ ყოვლად სამღვდელონი თავის ამალით შუამთის მონასტერში გაემგზავრნენ, საიდგანაც მეორე დილით ყოვლად სამღვდელო ლეონიდი ტფილისს გაემგზავრა. ორივე დღეობამ მშვიდობიანად ჩაიარა, არავითარი უსიამოვნება არ მომხდარა

დასასრულ, სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ ყოვლად სამღვდელო კირიონს ამ მოკლე ხანში დიდი ყურადღება მიუქცევია მისდამი რწმუნებულს ტაძრების საჭიროებასა და გამშვენიერებისათვ შუა მთის მონასტრის ეკკლესი

დაუგია მოზაიკის იატაკი და ალავერდის სობოროსთვის გადაუკრავს თუთის სახურავი.

იმედია, მისი ყოვლად უსამღვდელოესობა აწყურის წმ. გიორგის მისავალ გზასაც ყურადღებას მიაქცევს, გაუმჯობესდება და მით ასცილდება გასაჭირი იმ დიდძალს მლოცავს, რომელნიც ათასობით დაიარებიან დღეობის დროსაც „თეთრი გიორგის“ ტაძარში.

მოგზაური

*** **ქართლი.** ქართლის საერთო ნაკლი. (გაგრძელება). ქართლელ კაცს მზათ მოსული ჭირნახულის რიგიანათ შენახვის თავიც არ აქვს, იგი სთხრის უშველებელ ორმოს რამოდენიმე საჟენის სიღრმეზე, რომელიც ადამიანს უფრო წყლის ჭას მოაგონებს, ვიდრე ჭირნახულის შესანახს ჭურჭელს. ამ გვარათ ღრმათ ჩათხრილი მიწა, აუცილებლივ ნესტიანია და პურს აძლევს საშინელ შმორის გემოს და თუ ძრიელ ნოტიო ადგილას არის გათხრილი, ორმოს გვერდებზე პური ღეჯეჯდება და ჯეჯილად ამოდის, თუმცა ორმოს გვერდებზე ულოს უდებენ, მაგრამ მასაც ანესტიანებს მიწის პირები და პურზე გადადის. ყოვლად შეუძლებელია, რომ ორმოში თავები გამოილივნენ და შიგ ბუდობა მოაშალონ. როდესაც ჭირნახულის ორმოსა ხდიან, სწორეთ რომ სამწუხარო სურათს წარმოადგენს: მთელი პური ზევიდა დაღერღილია და ქატოთა ჰყრია, მიწა ხომ თავიდან ძირამდისინ შიგ არის ალუფხული. ამ გვარათ მზათ მოვლილი ჭირნახულის რიგიანათ შენახვა და ჭურჭლის შოვნაც უძნელდებათ, მაშინ როდესაც მთელი ქართლი გარშემო ტყეებით არის სავსე და არც ძალიან ძვირათ დაუჯდებათ ფიცრის ამბრის გაკეთება. ამბარში პური ჯერ ერთი, რომ სუფთათ ინახება, მეორეც ის, რომ შიგ პური ძალზე ხმება და გაუხმობლად პირდაპირ დაიფქვის წისქვილზე. ორმოს პური კი თუ მთელი სამი-ოთხი დღე არ ახმო კაცმა, დანესტიანებულია და კევივით იღეჭება. ახლა მიიღეთ მხედველობაში ის გარემოება, როდესაც ზამთრის დღეში გამოაქვთ პური და გარეთა ჰფენენ გასახმობათ: აქაც მთელი ოთხი-ხუთი დღე ეხვევიან შინაური და გარეული ფრინველები და ათხრებენ, რადგანაც ჩვეულებათ აქვთ პატარა მოობედების დაყენებისა, რომლებიც თამაშობაში არიან გართულნი და ან არა სიცივისაგან გაოგნებულნი თბილი ბოსლებისაკენ გარბიან.

ამ გვარათ, როგორც მკითხველი ჰხედავს, ვიდრე ქართლელი კაცი თავის ჭირნახულს გამოაცხობდეს და პურის კიდობანში მოიქცევდეს, თითქმის ნახევარი აკლდება და რასაკვირველია, რომ ნამუშავარი არ დაუფასდეს და წლამდის არ გაჰყვეს თავისი წლის მოსავალი. თუ ჩვენ წინაპართ წარსულში აკმაყოფილებდა ამ გვარი წესწყობილებით მიწის შემუშავება და მხვნელ-მთესველობა, ეს აიხსნება იმითი, რომ მაშინ ჯერ ერთი, რომ ხალხის რაოდენობა მცირე იყო და მეორეც, რომ მიწა ისე არ იყო გაცვეთილი და უნაყოფო, როგორც აწმყოშია. ნამდვილის წყაროებიდან ვიცით, რომ წარსულში დღიური მიწა ოც-ოცდა ხუთ კოდს აძლევდა და ეხლა კი იმის ნახევარსაც აღარ იძლევა, თუმცა ფარეზობა და მოვლა უფრო მეტი აქვს. შემდეგში ვენახის და ბოსტნეულობის შემუშავების შესახებ მოვილაპარაკებთ.

ივ. კავთელი

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსა განი»).

**ბერლინი.** „Central News“-ს კაპშტადტიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ ქუბერმა 8,000 ბოერით უკუ აქცია ინგლისელები გლენკედგან. უაიტმა უკან დაიხია ლედი-სმიტისაკენ, ბოერებმა დაიჭირეს დენდი, უაჩბანკი, უესელსი და ნეკი.

„Berliner Tageblatt“-ის დეპეშა იუწყება ბრიუსელიდგან, რომ იქაურს ტრანსვაალის მისსიაში მტკიცდება დენდისთან ბოერების ბრწყინვალე გამარჯვების ამბავი. კამბერლეის დამხობას ყოველ საათში მოელიან.

**ლონდონი.** საღამოთი სახალხო უწყებამ დეპეშა მიიღო, რომელიც იუწყება, რომ ორანჟეს რესპუბლიკის პრეზიდენტმა პროკლამაცია გამოსცა, რომლითაც აცხადებს კაპის ახალშენს მდინარე ვაალის ჩრდილოეთით რესპუბლიკას შეერთებით.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. ვინდგემი აცხადებს, რომ უოლსლეი საქმეთა ვითარებას შემდეგ ნაირად გვიხატავს: გენ. იულმა უკან დაიწია უაიტთან შესაერთებლად და დაბანაკდა საღამოთი დენდიდგან 16 მილის მანძილზე. დღეს ლედი-სმიტიდგან ნიუკესტლისაკენ მიმავალ გზაზედ უაიტს ორანჟეს რესპუბლიკის ჯარი შეხვდა, ომი საკეთილოდ დასრულდა მისთვის. დღეს საღამოთი ის, როგორც სჩანს, იულს შეუერთდა (მოწონების ხმები). იულიც იუწყება, რომ მასთან მყოფი დაჭრილები კარგად ჰგრძნობენ თავს. დაჭრილ ბოერებს აქ ისე ექცევიან, როგორც ჩვენებს. ჩვენ საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ბოერებიც ისე ადამიანურად ეპყრობიან დატყვევებულ ინგლისელთ. ამას გარდა, ლორდმა უოლსლეიმ აუწყა პალატას, ჩვენ მივიღეთ კაპშტადტიდგან შემდეგი დეპეშა: კიმბერლეიდგან უკანასკნელად მოსულ ცნობებიდგან სჩანს, რომ იქ 22 ოქტომბერს სრული მშვიდობა იყო.

**ლონდონი.** სამხედრო სამინისტრომ გენერალ უაიტისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო ლედი-სმიტიდგან 12 ოქტომბერს საღამოთი: „გუშინ, საღამოს 9 საათზედ, აქ ამბავი მოვიდა, რომ ბოერთა აუარებელმა ჯარმა მარჯვე ადგილი დაიჭირა ლედი-სმიტიდგან დენდისაკენ მიმავალ მთავარ გზის დასავლეთით. ამასთანავე ამბავი მოვიდა, რომ ჩვენი ჯარები დენდიში, რომელთაც წინად სეიმონსი უფროსობდა, ამ ჟამად-კი იული უფროსობს, ახლა უკან იხევენ ლედი-სმიტისაკენ და რომ დღეს ისინი მდ. ზონტაგის ხეობასთან უნდა მივიდნენ. მტერი აღმოჩნდა დაახლოვებით 7 მილის სიშორეზე ლედი-სმიტიდგან და ამასთან საუკეთესო მარჯვე ადგილზედ. მტერმა შეჰნიშნა თუ არა ჩვენი მზადება, ასტეხეს სროლა ერთის იარაღით. ჩვენმა არტილერიამაც მისცა პასუხი და მალე შეაწყვეტინა სროლა. მე მარტო ის ვიკმარე, რომ მტერს ნება არ მივეცი იულისათვის წინაალმდეგ განეზრახა რამ ამ სახით ორ ცეცხლს შუა ჩავარდნა მას თავიდგან ავაშორეთ.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტომ“ კიმბერლეიდგან 9 ოქტომბერს შემდეგი დეპეშა მიიღო: ტრანსვაალის მთავრობამ პროკლამაცია გამოსცა გრინვალანდის და ბეჩუანალანდის შემოერთების შესახებ.

კიმბერლეის კომენდატმა გამოსცა კონტრ-პროკლამაცია, რომელიც აცხადებს, ბოერთა პროკლამაციას არავითარი ძალა არ აქვსო; ბრიტანიის ქვეშევრდომთა უფლებრივი მდგომარეობა შეუცვლელი რჩება და ისინი, ვინც მტერს დახმარებას აღმოუჩენს, დაუყოვნებლივ დაისჯებიანო. დატუსაღებულ იქმნა რამდენიმე კაცი.

**ლონდონი.** „Daily Mail“-ს კაპშტადტიდგან დეპეშით აუწყებენ 12 ოქტომბრიდან: იული შეუერთდა გრიპს ლედი-სმიტის ჩრდილოეთით. დეაარიდგან დეპეშა იუწყება 11 ოქტომბრიდგან, რომ კრონიე ორჯერ უკუ-იქცა მეფეკინგზედ თავ დასხმის დროს და ახლა, როგორც ისმ-ს, კიმბერლეიზედ მიდის. ინგლისის მოწყალზედ კრონიემ დასტოვა მცირეოდენი ჯარი მეფეკინგზედ ალყის შემოსარტყმელად. ორანჟეს რესპუბლიკის ბურები წავიდნენ დასავლეთისაკენ, რათა კრონიესთან ერთად მონაწილეობა მიიღონ კიმბერლეიზედ იერიშის მიტანაში.

**კლიპდამი.** უესტი ბოერებმა აიღეს. ბრიტანიის რეზიდენტი, მისი ადიუნკტი და ერთი მოხელე დატყვევებულ იქმნენ.


# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება
წერა-კითხვის გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**იმერული სცენები**

შეკრებილი ქ. მესხის მიერ
ფასი 5 კაპ.

ვინც „ცნობის ფურცლის“ რედაქციიდან გამოიწერს ერთბაშად 25 ცალს, იმას ერთ მანათად დაეთმობა. (12—12)

იყიდება
„ცნობის ფურცლის“ რედაქციაში
იაფ-ფასიანი
სახალხო გამოცემანი:

თავ. ილია ჭავჭავაძე . 2 „
ალექსანდრე ყაზბეგი(?) 2 „
სპარსეთის მეფე და ქართველი ტყვე . . . . 2 „
პატარა ბიბლიოთეკა . . . 2 „

ვინც ას ცალს გამოიწერს, მანეთზე დაეთმობა ორი აბაზი.
მსურველნი მიჰმართავენ („ცნობის ფურცლის“ რედაქციას. 30—30)

იმერული სასადილო

მზადდება იმერული სადილი-ვახშამი

ახლად გახსნილი საწვრილმანო და საპარტიო სავაჭრო

# „უნივერსალნი მაღაზია“

კ. გ. ყარიბოვისა (ტფილისში, პუშკინის ქუჩაზე, პუშკინის ბაღთან)

მუდმივ იყიდება ახალი საგალანტერიო, საოჯახო, სამრეწველო და სხვა მრავალგვარი საქონელი პირდაპირ ქარხნიდან გამოწერილი

ეს არის ახლად მიღებული დიდძალი

ქოლგები. თეთრეული. კორსეტები. წინდები. ჩულქები. ფუფაიკები. ქვრსე. პერჩატკები. კრუჟევა რუსული და გრან. შალები თბილი. შარფები. ყელსახვევი (ბოა).

შლიაპები. სარტყლები. მოსართავები. ლენტები ყოველნაირი. ბოლდადები. ხელსახოცები. ყელსახვევები. პირბადეები. აგრამანტები. გამაშები. რედიკულები. ალბომები.

სარკეები. ნესესერები. პორტმონეები. სანობათო ნივთები. საქორწილო სამკაულები. საბავშო ტანსაცმელები. ქალების კაცების საკაზმები. ფანჯრის ტულები. ქსოვილი სუფრები. საბნები ქსოვილები. ბალიშის პირები. ბამბები შალისა. ყოველგვარი ფერისა.

კალოშები. სამრეწველო საქონელი. **არტურ კრუპპის ქარხნის** ლითონეულობის ნაკეთობა. **„ალპაკას“ ნახელოვნები**, სქლად მოვერცხლებული. **სამზარეულო ჭურჭლები**, წმინდა ნიკელიდან სასტუმროებისა და ოჯახისათვის. **შუშები** ფანჯრებისათვის მოგემიდან.

ფასები ყველაფერზე სულ მცირეა, უკანასკნელი და გადაჭრილი. მაღაზიას ყოველ კვირა სულ ახალ ახალი საქონელი მოსდის. ჩვენი საქონლის უპირატესობას, სიკარგესა და გამოსადეგობაში შეიძლება ყველა პირადად დარწმუნდეს. (60—10)



# КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) Бухгалтеріи двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой промышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ узаконеній.**

**преподаетъ И. Я. БРОНЪ-ФОНЪ-БРЕННЕРЪ, препод. тифлисскихъ учебныхъ заведеній**

## Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный,** при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣсяца

**За успѣшныя занятія лучшія аттестаціи отъ учебнаго начальства**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ 2) ... вычисленія, 3) ... 4) вексельныя операціи, 5) товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., № 71.** (100—86)



# ქართული წერის რვეულები

(ახალი გამოცემა)

„დედა-ენასთან“ სახმარებელი, დაიბეჭდა ახლად საუკეთესო ქაღალდზე და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ფასი ოთხი კაპეიკი. ვინც ნაღდს ფულზე იყიდის ასობით, იმას თითო რვეული მიეცემა 3¾ კაპეიკად; ხოლო ვინც ხუთასობით იყიდის, თითო რვეული დაეთმობა სამ კაპეიკ ნახევრად 3½ კაპ. (6—5)



ძ. თავართქილაძეების წიგნის მაღაზიებში არის დანიშნული 20 აგვისტოდან, 20 სექტემბრამდის

# იაფი ვაჭრობა

იაფად იყიდება ყოველივე სასწავლო და სახელმძღვანელო წიგნები, რვეულები და განსაკუთრებით ქართული საკუთარი გამოცემანი.

ძმათა თავართქილაძეებისავე სტამბებში, იყიდება ერთი ნახმარი სტამბის დაზგა (Станокъ) 100 მანეთი.

იქვე იყიდება 24 ცინკის „კლიშე“ „ვეფხის ტყაოსნის“ სურათებისა, სათაურით, სულ 50 მანეთი. (20—18)



ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1899 ГОДЪ

НА ЛИТЕРАТУРНЫЙ И НАУЧНО-ПОПУЛЯРНЫЙ ЖУРНАЛЪ

для самообразованія

VIII-й г. изд. **МІРЪ БОЖІЙ** VIII-й г. изд.

*Выходитъ 1-го числа каждаго мѣсяца въ размѣрѣ не менѣе 25 печ. листовъ.*

1899 году журналъ будетъ издаваться по той же программѣ и при томъ же составѣ редакціи и сотрудниковъ, причемъ для напечатанія предполагается, между прочимъ, слѣдующее:

БЕЛЕТРИСТИКА ОРИГИНАЛЬНАЯ: «Освободилась», романъ А. Вергежской; «Риштау», повѣсть В. Сѣрошевскаго; «Отъ Волги до Портъ-Артура» (путевые очерки), Н. Гарина; «Душная ночь» (Изъ степныхъ очерковъ), разк. Ю. Безродней; «Каинъ и Артемъ» (Изъ жизни босяковъ), разск. М. Горькаго; «Въ ночной смѣнѣ», разсказъ изъ военнаго быта А. Куприна;; разсказы г.г. Бунина, Патапенко, Станюковича, Чирикова

**Научныя статьи и сочиненія.** «Антропологическіе очерки» проф. Бранта: «Современное положеніе вопроса о гипнотизмѣ», В. Битнера; «Чарльзъ Парнель», Ев. Тарле; «Очерки по исторіи русской культуры», часть III-я П. Милюкова. «Александръ I и его время», А. Прѣснякова: «А. С. Пушкинъ» (юбилейная статья). Ив. Иванова; «В. Г. Короленко», Ив. Иванова. «Ада Негри», В. я Фритче «Очерки по соціальной экономіи», прив.-доц. М. Туганъ-Барановскаго; Послѣдствія переворота въ земледѣліи», Л. Крживицкаго; «Положеніе труда въ Англіи», Л. Давыдовой; «Рихардъ Авенаріусъ и эмпиріокритицизмъ», проф. Г. Челпанова; «Экспериментальная психологія, ея настоящее и будущее, д-ра философіи В. Анри.

ПЕРЕВОДНЫЯ СОЧИНЕНІЯ. «Очерки по исторіи соціальной философіи», Людвика Штейна, пер. съ нѣмецкаго; «Религія красоты» (джонъ Рескинъ и его идеи), Сизераня; «XIX вѣкъ въ различныхъ областяхъ науки, техники и общественной жизни», компилятивныя статьи; «Изъ исторіи тайныхъ обществъ у различныхъ народовъ».

Постоянные отдѣлы. Критическія замѣтки. Изъ западной литературы. На родинѣ. За границей. Научный обзоръ. Текущія научныя новости. Библіографія. Новости иностранной литературы.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

Съ доставкой и пересылкой во всѣ города Россіи на годъ 8 руб. 0 к.
Безъ доставки на годъ . . . . . . 7 »
За границу на годъ . . . . . . 10 »
Вмѣсто разсрочки допускается подписка:

| По полугодіямъ; | по третямъ года: |
|---|---|
| Съ доставкой и пересылкой во всѣ города Россіи на полгода 4 р. | Съ доставкой и пересылкой в города Россіи; въ январѣ . . 3 р. » маѣ . . 3 » сентябрѣ . . 2 |
| За границу . . . 5 р. | За границу: въ январѣ 4 р. » » » маѣ . . 3 р. » » » сентябрѣ . . 3 |
| Безъ доставки по соглашенію конторой | |

Адресъ: С.-Петербургъ, Лиговка, 26.

Подписавшіеся на полгода или на треть года продолжаютъ подписку безъ повышенія подписной цѣны

Уступки съ подписной цѣны никому не дѣлается.

Издательница *А. Давыдова.* Редакторъ *В. П. Острогорскій*


Дозволено цензурою. Тифлисъ 15 Октября 1899 г. სტ. ... (...), რედაქტორ-გამომცემელი ...